



საქმე N 330210013355990



თბილისის სააპელაციო სასამართლო  
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
საქართველოს სახელით  
საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

საქმე №28/2154-14

2 ივნისი, 2014 წელი  
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატამ  
შემდეგი შემადგენლობით:  
თავმჯდომარე - ხათუნა არევამე  
მოსამართლეები: ნატალია ნაზღაიძე  
ვანო წიკლაური

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

საჩივრის ავტორი – სს „ს. რ.“

წარმომადგენელი – მ. მ.

მოწინააღმდეგე მხარე - შპს „გ. ა.“

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე

დავის საგანი – ზიანის ანაზღაურება

სასამართლომ გამოარკვია:

2014 წლის 21 თებერვალს სს „ს. რ.-ს“ წარმომადგენელმა – მ. მ.-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე შპს „გ. ა.-ს“ საკუთრებაში არსებულ 27 (ოცდაშვიდი) მექანიკურ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ყადაღის დადება (ს.ფ.143 - 146).



თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ტებერვლის განჩინებით სს „ს. რ.-ს“ წარმომადგენლის მ. მ.-ს მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე არ დაკმაყოფილდა (ს.ფ. 155-157);

**ზემოაღნიშნული განჩინების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლომ გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. ეს მიზანი ნათლადაა გამოკვეთილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში, რომლის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა, გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფა, ეს არის სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ესაა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, რაც შესაძლოა გამოხატულ იქნეს მოპასუხისათვის თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის უფლების შეზღუდვით (ყადაღის დადება), მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულებს აკრძალვით და სხვა გზით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება თავისი სამართლებრივი თვალსაზრისით მოპასუხის უფლებისა თუ ინტერესის შევიწროებას გულისხმობს, თუმცა იგი არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც მოპასუხის უფლებების უპირობოდ შემზღუდველი ღონისძიება. ამიტომ, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივ და სამართლებრივ



საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შესაძლოა ერთი მხარის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, მეორისა კი – პირიქით. ამასთან, სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ზომა უნდა იყოს ადეკვატური დავის საგანზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში, სს „ს. რ.-მ“ აღძრა სარჩელი ფულადი ვალდებულების 132 011 ლარის შესრულების მოთხოვნით, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოითხოვა ყადაღის დადება მოპასუხის შპს „გ. ა.-ს“ საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე; სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელემ არ წარადგინა დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა თუ რა ღირებულების იყო შპს „გ. ა.-ს“ საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება როგორც აღინიშნა თავისი სამართლებრივი თვალსაზრისით მოპასუხის უფლებისა თუ ინტერესის შევიწროებას გულისხმობს და იგი არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც მოპასუხის უფლებების უპირობოდ შემზღვეველი ღონისძიება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „ს. რ.-მ“ არ წარადგინა დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ამ კონკრეტული ღონისძიების გამოყენება ადეკვატური იყო დავის საგანზე მისაღები შესაძლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს არ გაუჩნდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის შუამდგომლობა დაუსაბუთებელი იყო და არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი (ს.ფ.155-157).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის განჩინებაზე სს „ს. რ.-ს“ წარმომადგენლის - მ. მ.-ს მიერ, 2014 წლის 28 თებერვალს წარდგენილ იქნა საჩივარი (ს.ფ. 212-215); საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებათა გამო:

– მოცემულ შემთხვევაში სს „ს. რ.-ს“ ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ მოპასუხე შპს „გ. ა.-ს“ მიერ არ მოხდეს მის საკუთრებაში რიცხული ავტოსატრანსპორტო მექანიკური საშუალებების გასხვისება, რაც თავისთავად ვერ განხორციელდება ზემოაღნიშნულ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის გამოყენების შემთხვევაში, რადგან ყადაღის დადება ქონებაზე თავისთავად გულისხმობს



მესაკუთრის ან მფლობელისათვის ქონების განკარგვის ან ქონებით სარგებლობის უფლების აკრძალვას. სს „ს. რ.-ს“ ინტერესი შემოიფარგლება მხოლოდ მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების თავიდან აცილების მიზნით, კერძოდ, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების – რეალიზაციის ან სხვა პირის სახელზე გადაფორმების აკრძალვით. საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოს შეეძლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მესამე ნაწილის გათვალისწინებით („სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე“) ემსჯელა როგორც ქონებაზე ყადაღის დადების, ასევე, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვის თაობაზე, თუმცა, სასამართლოს აღნიშნული შესაძლებლობა არ გამოუყენებია.

– საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მოსარჩელის ვალდებულებას შეაფასოს დასაყადაღებელი ნივთი. კონკრეტულ შემთხვევაში, სს „ს. რ.-ს“ შემდგომში, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მაინც არ შეიძლება ჰქონდეს 132011 ლარის ფარგლების გარდა პრეტენზია ქონებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ს. რ.-ს“ წარმომადგენელმა – მ. მ.-მ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, ყადაღის დადება შპს „გ. ა.-ს“ სახელზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 მარტის განჩინებით სს „ს. რ.-ს“ წარმომადგენლის მ. მ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის მოტივით და იგი გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

**პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა შემდეგი;**

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შუალედურად განსახილველი ღონისძიებაა. მისი განხილვისა და გადაწყვეტის დროს სასამართლო არ აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სარჩელს. არ იხილავს მოთხოვნას არსებითად, არამედ ამოწმებს რამდენად შეიძლება გართულდეს ან შეუძლებელი გახდეს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ ნიშნავს, რომ სარჩელი აუცილებლად დაკმაყოფილდება ისევე, როგორც მისი გამოუყენებლობა არ ნიშნავს, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

კონკრეტულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ შპს „გ. ა.-ს“ მიერ მის საკუთრებაში არსებული მექანიკური საშუალებების გასხვისებისას შესაძლოა გართულდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება





არ შეიცავს მითითებებს იმ გარემოებებზე, რომ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ესაა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, რაც შესაძლოა გამოხატულ იქნეს მოპასუხისათვის თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის უფლების შეზღუდვით (ყადაღის დადება), მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულებს აკრძალვით და სხვა გზით. მოსარჩელეს თავად ევალება მიუთითოს განცხადებაში იმ კონკრეტულ გარემოებებზე (ფაქტებზე), რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ამასთან განცხადებაში მხოლოდ ამ გარემოებებზე მითითება არ არის საკმარისი, მოსარჩელემ ასევე უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობით სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლოა გადაწყვეტილების აღსრულება გართულდეს ან გახდეს შეუძლებელი.

სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება თავისი სამართლებრივი თვალსაზრისით მოპასუხის უფლებისა თუ ინტერესის შევიწროებას გულისხმობს, თუმცა იგი არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც მოპასუხის უფლებების უპირობოდ შემზღუდველი ღონისძიება. ამიტომ, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შესაძლოა ერთი მხარის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, მეორისა კი – პირიქით. ამასთან, სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ზომა უნდა იყოს ადეკვატური დავის საგანზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს 2014 წლის 12 თებერვლის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღა დაედო შპს „გ. ა.-ს“ ფულად სახსრებზე 50680.07 ლარის ფარგლებში.

ამდენად, სასამართლომ შეაფასა რა განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები, გაითვალისწინა სარჩელის მოთხოვნის საგანი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით სახეზე არ იყო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მაღალი რისკი იმისა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში საფრთხე შექმნებოდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ს. რ.-ს“ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის განჩინებაზე დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და იგი გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.



სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა სს „ს. რ.-ს“ წარმომადგენლის მ. მ.-ს საჩივარი და მიაჩნია, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის განჩინება უნდა გაუქმდეს და მიღებული იქნას განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე სს „ს. რ.-ს“ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-420 მუხლებით დადგენილი წესებით, ხოლო იმავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც უნდა პასუხობდეს ამ კოდექსის 285-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელშიც უნდა მიეთითოს უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება შეარჩია სასამართლომ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე, და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და ხდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ხშირ შემთხვევებში კრედიტორისათვის, რომლის სასარგებლოდაც გადაწყდება დავა, სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნას პრაქტიკული ღირებულება ეკარგება, რადგან აღმოჩნდება, რომ სასამართლოში საქმის განხილვის ხანგრძლივობის გამო ფაქტობრივი ვითარება კრედიტორის საუარესოდ შეიცვალა, ან მოვალე ამასობაში გადახდისუუნარო გახდა, ან ქონება, რომელზეც უნდა



მიქცეულიყო აღსრულება, მოვალემ გაასხვისა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლო არ იკვლევს მტკიცებულებებს სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, არამედ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ შესაძლოა სარჩელი დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საქმეთა პალატა, მოცემულ შემთხვევაში, არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდეგ მსჯელობას: საჩივრის ავტორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ შპს „გ. ა.-ს“ მიერ მის საკუთრებაში არსებული ავტოსანტრასპორტო საშუალებების გასხვისების შემთხვევაში შესაძლოა გართულდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, არ შეიცავს მითითებებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპზე. ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა ორივე ურთიერთდაპირისპირებული მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანი მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაა. თუმცა, სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს; შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი უნდა შეფასდეს როგორც მოსარჩელის, ისე – მოპასუხის პოზიციიდან.

კანონი და შესაბამისად სასამართლო, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე მსჯელობისას სავალდებულოდ არ მიიჩნევს მტკიცებულებათა წარმოდგენას, თუ რა გადაუდებელი შემთხვევა არსებობს და რატომ გაძნელებულია ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. ამისათვის საჭიროა მხოლოდ მითითება, რათა სასამართლოს გაუჩნდეს დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე თუ რა დაბრკოლება შეიძლება შეექმნას სასამართლოს მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს ვალია არა მხოლოდ სწორად და ობიექტურად გადაწყვიტოს დავა მხარეებს შორის, არამედ უზრუნველყოს სამომავლო გადაწყვეტილების დაცვა აღუსრულებლობისაგან.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მის გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის. შესაბამისად, საპროცესო კანონში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისთვის როდესაც იგი გამართლებულია, ხოლო არის თუ არა გამართლებული, ამის შესახებ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.



სასამართლომ უნდა იმსჯელოს და შეაფასოს, გადასწონის თუ არა მომავალში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საჯარო ინტერესი მოპასუხის, როგორც მესაკუთრის კერძო ინტერესს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფა.

სამოქალაქო საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ სს „ს. რ.-ს“ საჩივარი, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით, მისი სასარჩლო მოთხოვნის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები მოცემულია საჩივარში, რაც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის ანალიზიდან და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნობრიობიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის კანონიერი ინტერესი და სარჩელის უზრუნველყოფის და დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, რითაც ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესის რეალიზაცია და მისი სარჩელის უზრუნველყოფა, არ უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის უპირობო და ცალსახა შელახვა, არამედ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა-შევიწროებით და იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცულობისათვის. პალატა ამასთანავე განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმისათვის, რომ მოხდეს მხარეთა ინტერესების დაბალანსება, უნდა გამოირიცხოს არაადეკვატური, არათანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი ითხოვს შპს „გ. ა.-ს“ საკუთრებაში არსებული 27 (ოცდაშვიდი) ავტოსანტრასპორტო საშუალების დაყადაღებას, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით განხილულ უნდა იქნეს არაადეკვატურ ღონისძიებად. კერძოდ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სარჩელის უზრუნველყოფასთან მიმართებაში განმცხადებლის (მოსარჩელის) კანონიერი ინტერესის დაცულობა, განსახილველ შემთხვევაში, მოითხოვს მოპასუხის კუთვნილ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნებას, რისთვისაც პალატის მოსაზრებით საკმარისია ავტომანქანების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის ღონისძიების გამოყენება. ყადაღა გულისხმობს გაცილებით მეტი შეზღუდვების დადგენას მესაკუთრისათვის, რაც თავის მხრივ, მოცემულ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვის უზრუნველყოფისათვის;





შესაბამისად იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის კანონიერ ინტერესის დაცვა შესაძლებელია გაცილებით ნაკლები შეზღუდვის მქონე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, სააპელაციო პალატა გაუმართლებლად მიიჩნევს უფრო მკაცრი და უფრო მეტი შეზღუდვების მქონე უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის, გამოყენებას.

**პალატა აქვე აღნიშნავს, რომ მოპასუხის კუთვნილ სამ ავტომანქანაზე** (სახელმწიფო ნომერი - XXXXXX, სარეგისტრაციო მოწმობა - XXXXXXXXXX, მარკა. მოდელი - MANTGA 26.412, გამოშვების წელი - 2001, ს/ნ - XXXXXXXXXXXXXXXXXXXX; მეორე ავტომანქანა - სახელმწიფო ნომერი - XXXXXX, სარეგისტრაციო მოწმობა - XXXXXXXXXX, მოდელი - TOYOTA LANDCRUISER LC150, გამოშვების წელი - 2012, ს/ნ - XXXXXXXXXXXXXXXXXXXX; მესამე ავტომანქანა - სახელმწიფო ნომერი - XXXXXX, სარეგისტრაციო მოწმობა - XXXXXXXXXX, მარკა. მოდელი - MAN TG 410A, გამოშვების წელი - 2001, ს/ნ - XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) **გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით, ერთის მხრივ სარჩელის უზრუნველყოფის და დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, დაცული იქნება მოსარჩელის კანონიერი ინტერესი და მეორეს მხრივ არ მოხდება მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის უპირობო და ცალსახა შელახვა, და აღნიშნული სახით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უზრუნველყოფს ორივე მხარის ინტერესის დაბალანსებას გონივრულობის ფარგლებში.**

ამდენად პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, და მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, ასევე მხარეთა ინტერესების თანაბარზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, წარმოიშობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პროცესუალურ – სამართლებრივ საფუძველი. კერძოდ, პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის – სს „ს. რ.-ს“ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; კერძოდ, შპს „გ. ა.-ს“ აკრძალოს მის სახელზე რიცხული ავტომანქანების:

1) სახელმწიფო ნომერი - XXXXXX, სარეგისტრაციო მოწმობა - XXXXXXXXXX, მარკა. მოდელი - MANTGA 26.412, გამოშვების წელი - 2001, ს/ნ - XXXXXXXXXXXXXXXXXXXX;

2) სახელმწიფო ნომერი - XXXXXX, სარეგისტრაციო მოწმობა - XXXXXXXXXX, მოდელი - TOYOTA LANDCRUISER LC150, გამოშვების წელი - 2012, ს/ნ - XXXXXXXXXXXXXXXXXXXX;

3) სახელმწიფო ნომერი - XXXXXX, სარეგისტრაციო მოწმობა - XXXXXXXXXX, მარკა. მოდელი - MAN TG 410A, გამოშვების წელი - 2001, ს/ნ - XXXXXXXXXXXXXXXXXXXX) **გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის განჩინება და სს „ს. რ.-ს“ საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების



შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე 372-ე, 377-ე, 419-ე, 420-ე და 390-ე მუხლებით

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს. რ.-ს“ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის განჩინება;
3. სს „ს. რ.-ს“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „გ. ა.-ს“ აეკრძალოს მის სახელზე რიცხული შემდეგი ავტომანქანების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა:
  - 1) სახელმწიფო ნომერი - XXXXXX, სარეგისტრაციო მოწმობა - XXXXXXXXXX, მარკა. მოდელი - MANTGA 26.412, გამოშვების წელი - 2001, ს/ნ - XXXXXXXXXXXXXXXXXXXX;
  - 2) სახელმწიფო ნომერი - XXXXXX, სარეგისტრაციო მოწმობა - XXXXXXXXXX, მოდელი - TOYOTA LANDCRUISER LC150, გამოშვების წელი - 2012, ს/ნ - XXXXXXXXXXXXXXXXXXXX;
  - 3) სახელმწიფო ნომერი - XXXXXX, სარეგისტრაციო მოწმობა - XXXXXXXXXX, მარკა. მოდელი - MAN TG 410A, გამოშვების წელი - 2001, ს/ნ - XXXXXXXXXXXXXXXXXXXX)
5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

თავმჯდომარე:

/ხათუნა არევამე/

მოსამართლეები:

/ნატალია ნაზდაიძე/

/ვანო წიკლაური/